community

The New Apostolic Church around the world

03/2019/GE



სასულიერო თანამდებობის გაგება

რედაქციისგან: თემი ცოცხლობს და ყალიბდება

ღვთისმსახურება: სიცოცხლის გვირგვინი

ეკლესიის მოძღვრება: სასულიერო თანამდებობის გაგება

New Apostolic Church
International

რედაქციისგან

3 თემი ცოცხლობს და ყალიბდება

ღვთისმსახურება აზიაში

4 სიცოცხლის გვირგვინი

ვიზიტი ევროპაში

10 სიცხადე საიმედო წყაროდან

საბავშვო კუთხე

12 სტუმრად მარიანხელთან სან-ხოსეში (კოსტა რიკა)

დოქტრინა

14 სასულიერო თანამდებობის გაგება

Global News

18 წყალდიდობის შემდეგ: გადაუდებელ დახმარებასა და აღდგენას შორის

■ სატიტულო ფურცლის ფოტო: ოლივერ რიუტენი
■ ბოლო გვერდის ფოტო: ბურუნდის ახსე

თემი ცოცხლობს და ყალიბდება

ფოტო: საერთაშორისო ახსე

საყვარელო ერთმორწმუნე და-ძმანო,

უკან მოვიტოვეთ დიდებული მოვლენა: რამოდენიმე დღის განმავლობაში ახალგაზრდა ერთმორწმუნე და-ძმებთან ერთად, რომლებიც მსოფლიოს მრავალი კუთხიდან ჩამოვიდნენ, საერთაშორისო ახალგაზრდულ დღეს აღვნიშნავდით. ამ დიდ წრეში ერთობით, მუსიკითა და საუბრებით ვისიამოვნეთ. დარწმუნებული ვარ, რომ იქ გამეფებული აღფრთოვანება თქვენც გადმოგეცათ; მაშინაც კი, თუ ცალკეულ შემთხვევაში კონკრეტულ ადგილზე ყოფნა ვერ შეძელით.

ერთი კვირის მერე ორმოცდაათობა ვიზეიმეთ. ღვთისმსახურებაში მონაწილეობა მივიღეთ როგორც ერთმა დიდმა თემმა და მადლი და დიდება აღვავლინეთ სამერთი ღმერთის წინაშე. გოსლარში/ გერმანია ერთად ყოფნა წლევანდელ წელს სამხ. მოციქულთა და მათ თანაშემწეთა პირველი საერთაშორისო კრების ჩასატარებლად გამოვიყენთ.

ორმოცდაათობის დღესასწაულთან ერთად ძალაში შევიდა სასულიერო თანამდებობის ახლებური გაგება, რომელიც აპრილში იქნა წარმოდგენილი. მომავალში ერთმანეთისგან გავმიჯნავთ სასულიერო თანამდებობის უფლებამოსილებასა და სახელმძღვანელო ფუნქციებს. სასულიერო თანამდებობის სამ დონეში შედის დიაკვნის, მღვდლისა და მოციქულის სასულიერო თანამდებობა. ხუთ სახელმძღვანელო ფუნქციებს მიეკუთვნება თემის წინამძღვარი, სამხ. წინამძღვარი, მოციქული, სამხ. მოციქული და პირველმოციქული.

ძმების ორდინირება სასულიერო თანამდებობაზე კვლავაც მოხდება. რაც შეეხება სახელმძღვანელო ფუნქციებს, ძმებს ლოცვითა და ხელდასხმით დაეკისრება კონკრეტული დავალება. ამით ხაზს ვუსვამთ სახელმძღვანელო ფუნქციების მნიშვნელობას. რაც შეეხება თანაშემწეებს, მომავალში მათი დანიშვნა მოხდება, მაგ., პირველმოციქულის თანაშემწის, სამხ. მოციქულის თანაშემწის, ეპისკოპოსებისა და სამხარეო და თემის წინამძღვართა წარმომადგენლებისა. მახარებლების, მწყემსების, სამხ. მახარებლებისა და სამხ. ხუცესების ორდინირება მომავალში აღარ განხორციელდება. ჩვენ ვცნობთ და ვაღიარებთ წარსულს და ამიტომაც ის ძმები, რომლებმაც თავიანთი სასულიერო თანამდებობა ორდინაციით მიიღეს, კვლავაც გააგრძელებენ კონკრეტული სასულიერო თანამდებობებით მსახურებას.

სასულიერო თანამდებობაზე მსახურება, რაოდენ მნიშვნელოვანიც არ უნდა იყოს იგი, მაინც იმ მრავალი მსახურების მხოლოდ ერთი ნაწილია, რომლებიც თემებში სრულდება. ყველა მოციქულის სახელით აქ მყოფ ყველა და-ძმას მადლობა მინდა გადავუხადო იმისათვის, რომ ისინი ძალ-ღონეს არ იშურებენ თემებისათვის და მხარში უდგანან მოციქულებს, რაც მსხვერპლის გაღების გარეშე არ ხდება. მთელი გულით გიხდით მადლობას! დაე, უხვად გაკურთხოთ ღმერთმა!

გულითადი მოკითხვებით

თქვენი ჟან-ლუკ შნაიდერი

2018 წლის 18 ნოემბერს პირველმოციქულმა მაინილას სასახლეში (მანილა / ფილიპინები) 500 მორწმუნესთან ერთად ღვთისმსახურება ჩაატარა. ეს ღვთისმსახურება ბევრ თემში ინტერნეტით გადაიცემოდა.

ფოტო: სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ახსე

სიცოცხლის გვირგვინი

იაკ. 1, 12

„ნეტარია კაცი, რომელმაც დაითმინა განსაცდელი, რადგან რაკი გამოიცდება, მიიღებს სიცოცხლის გვირგვინს, ღმერთმა რომ აღუთქვა თავის მოყვარულთ.“

საყვარელო ძმებო და დებო, დღეს განსაკუთრებული ღვთისმსახურებაა. იშვიათად ხდება, როცა მანილაში ასეთი დიდი თემი იკრიბება და, ამავდროულად, ამდენი მოციქულია აქ. როგორც იცით, ეს დღე განსაკუთრებულიც არის, ვინაიდან თქვენი სამხ. მოციქული დამსახურებულ პენსიაში გადის და ახალი სამხ. მოციქული ინიშნება. ყოველივე ეს ამ დღეს გამორჩეულს ხდის. ამ მიზეზს იმისთვისაც გამოვიყენებთ, რომ მადლობა გადავუხადოთ მამაზეციერს იმ კურთხევისათვის, რომელიც თქვენი სამხ. მოციქულის მეშვეობით მივიღეთ. მადლობას ვუხდით ღმერთს იმისთვისაც, რომ მან თქვენი სამხ. მოციქულის შრომა აკურთხა.

ნუ ინერვიულებთ; ცვლილებების შემთხვევაშიც კი ღმერთი არ იცვლება. მიზანიც იგივე რჩება და ის გზაც, რომელიც ამ მიზნისკენ მიდის. ჩვენ იესო ქრისტეს მივსდევთ და მომავალშიც იგივეს გავაკეთებთ. იესო ქრისტე ჩვენი უფალია, ის არის გზა და შემდგომშიც ისევე დაგვეხმარება, როგორც აქამდე გვეხმარებოდა.

რა არის ჩვენი მიზანი? ის ჩვენს ბიბლიურ ციტატაშია აღწერილი: „ნეტარია კაცი, რომელმაც დაითმინა განსაცდელი, რადგან რაკი გამოიცდება, მიიღებს სიცოცხლის გვირგვინს, ღმერთმა რომ აღუთქვა თავის მოყვარულთ.“ სიცოცხლის გვირგვინი ხსნას განასახიერებს. გვირგვინი ბიბლიაში არა ერთხელ არის გამოყენებული სიმბოლურად, ზოგჯერ სიცოცხლესთან კავშირში, როგორც აქ არის მოცემული - სიცოცხლის გვირგვინი, ხოლო ზოგან ნახსენებია როგორც „სიმართლის გვირგვინი“ (2. ტიმ. 4, 8), „დიდების უჭკნობი გვირგვინი“ (1. პეტ. 5, 4), და ყველა მათგანი ერთსა და იმავეს აღწერს: ჩვენს ხსნას. ეს არის საუკუნო სიცოცხლის, ღვთის სასუფეველში ღმერთთან თანაზიარების სიმბოლო. იმ გზის აღწერის მიზნით, რომელიც კაცმა ამ გვირგვინის მისაღებად უნდა გაიაროს, ახალი აღთქმა ხშირად ასპარეზობის მაგალითს იყენებს. პავლე და იაკობ მოციქულებიც ამ მაგალითს მიმართავენ. იმჟამადაც იმართებოდა დიდი ასპარეზობანი, რომლის დროსაც ათლეტები სირბილში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს, გამარჯვებული გვირგვინს იღებდა - ოქროს გვირგვინს კი არა, დაფნის გვირგვინს. ამ შედარებით მოციქულებს იმის თქმა უნდოდათ, რომ საუკუნო სიცოცხლის მოსაპოვებლად და ღვთის სასუფეველში შესასვლელად ათლეტივით სირბილში უნდა შეეჯიბროთ ერთმანეთს.

> ჩვენი აზრებისა და ქცევის ღვთის ნებასთან თანხმობაში მოყვანას ძალა სჭირდება.

შეჯიბრი, ასპარეზობა, უპ. ყოვლისა, დიდ ენერგიას მოითხოვს. ხსნას რომ მივაღწიოთ, ამისათვის ჩვენი აზრები და ქცევა ღვთის ნებასთან თანხმობაში უნდა მოდიოდეს. გამოსყიდვას რომ მივაღწიოთ, იესოს მაგალითს უნდა მივყვეთ. ამას ენერგია და მოთმინება სჭირდება, როგორც ასპარეზობის დროს. ეს კი ძალისხმევის გარეშე არ ხდება. ეს არის პირველი პუნქტი.

ღვთის სასუფეველში შესასვლელად ადამიანმა დიდი ძალა უნდა დახარჯოს. იქ უბრალოდ ვერ შევისეირნებთ, ეს შეჯიბრია და მას მოთმინება სჭირდება ისევე, როგორც ასპარეზობას.

ათლეტივით ბევრი უნდა ივარჯიშოს კაცმა. გამოსყიდვა და ხსნა თავისუფალი დროის აქტიური გატარება არ არის, ეს ყოველდღიური გამოწვევაა. ყოველ დღე ბეჯითად უნდა ვიმუშაოთ საკუთარ თავზე, ბევრი მსხვერპლი გავიღოთ. იმაზე უნდა ვიმუშაოთ, რომ ჩვენი აზრები და ქცევა ღვთის ნებას ეთანხმებოდეს.

ღვთის სასუფეველში შესასვლელად საკმარისი არ არის მარტო ღვთისმსახურებებზე ინტენსიური სიარული, შესაწირის გაღება, ღვთის მიმართ ლოცვა და ქრისტიანულად ცხოვრება. ამისათვის უფრო მეტია საჭირო, რათა ნამდვილად დავრწმუნდეთ იმაში, რომ ჩვენი აზროვნება და საქციელი ღვთის ნებას შეესაბამება. ათლეტთან შედარება ამას უფრო მკაფიოდ წარმოაჩენს.

თუ ასპარეზობაში მონაწილეს გამარჯვება სურს, მან ბევრი რამ უნდა გააკეთოს გამარჯვებისთვის. ზოგჯერ რაღაც-რაღაცეებზე უარის თქმაც უწევს, მაგრამ ის ამას აკეთებს, ვინაიდან გამარჯვება იმდენად მნიშვნელოვანია მისთვის, რომ ამ უარყოფებს ეგუება.

ხანდახან ჩვენც უნდა ვთქვათ რაღაც-რაღაცეებზე უარი, რამეთუ გამოსყიდვა ჩვენთვის უმნიშვნელოვანესია. მინდა ეს უფრო დავაკონკრეტო: ზოგჯერ გადაწყვეტილება გვაქვს მისაღები და ამ დროს, მაგ., ასეთი რამ გვესმის: „თუ იქ წახვალ, ბევრ ფულს იშოვნი.“ ცხადია, ფული ყველას გვჭირდება. მაგრამ მერე ვასკვნით, რომ იქ არც თემია და არც იმის შესაძლებლობა, რომ ღვთისმსახურებებს დავესწროთ. ამ დროს ისმის კითხვა: როგორ მოვიქცე? მივიღო შემოთავაზება და წავიდე? იქ ბევრი ფულის შოვნა შემიძლია! მაგრამ მაშინ ალბათ წელიწადში მხოლოდ სამჯერ ან ოთხჯერ შევძლებ ღვთისმსახურებაზე წასვლას. შენ როგორ გადაწყვეტილებას მიიღებდი? ზოგი იტყვის: „გასაგებია, მაგრამ ასე ხომ უკეთესი ცხოვრება მექნება, ვინაიდან ბევრ ფულს ვიშოვნი.“ დარწმუნებული ხარ, რომ წმიდა ზიარების გარეშე კარგი ცხოვრება გექნება? ღვთის სიტყვიდან წამოსული ნუგეშის გარეშე? ძმებთან და დებთან თანაზიარების გარეშე? აქ კითხვის ნიშანს დავსვამ.



თუ კაცს ღვთის სასუფეველში შესვლა სურს, ხანდახან მსხვერპლი უნდა გაიღოს, ისევე როგორც შეჯიბრების დროს. ათლეტი ზოგჯერ ტანჯვისთვისაც უნდა იყოს მზად. ვერც ჩვენ გავექცევით ამას. შეჯიბრებას თავისი წესები აქვს, რომელთა დაცვაც აუცილებელია. ყოველ დისციპლინას დადგენილი წესები აქვს და, თუ მოგება სურს კაცს, უნდა დაიცვას კიდეც ისინი. ეს ჩვენს ხსნასაც ეხება. იესომ ეს გარკვევით თქვა. მან თქვა, რომ ადამიანს კეთილი საქმეების კეთება შეუძლია, მაგრამ, თუ განსაზღვრულ წესებს არ დაიცავს იგი, მაშინ არანაირი ღირებულება არ ექნება მათ. ის იმათზე ლაპარაკობდა, ვინც მისი სახელით დიდი საქმეები აკეთა, თუმცა იესო მათ ბოლოს ამას ეტყვის: „მე არასოდეს არ გიცნობდით თქვენ, გამშორდით, ურჯულოების მოქმედნო“ (მათ. 7, 23).

რასაც არ უნდა აკეთებდე, უფლისა და მოყვასის სიყვარულით გააკეთე.

ხსნისათვის დაწყებული შეჯიბრის ერთ-ერთი წესი სიყვარულის მცნებაა. რასაც არ უნდა აკეთებდე, უფლისა და მოყვასისადმი სიყვარულით გააკეთე. ის, რაც სიყვარულით არ კეთდება, სრულიად უსარგებლოა. ასეთია ეს წესი. ის ახალსამოციქულო ეკლესიას არ გამოუგონია. ის იესო ქრისტემ ჩამოაყალიბა. როგორი დიდებული საქმეებიც არ უნდა გვეკეთებინა უფლისათვის, უსარგებლო იქნებოდა, თუ სიყვარულით არ ვიქნებოდით მოტივირებულნი. შეჯიბრი სხვა რამეა, ვიდრე სპორტით დაკავება თავისუფალ დროს, როცა კაცს იმის კეთება შეუძლია, რაც უნდა.

როცა კაცი ასპარეზობაში იღებს მონაწილეობას, წესები უნდა დაიცვას. ასპარეზობაში კაცი მარტო არ არის, არიან სხვა მოთამეშეებიც, რომლებსაც არ უნდათ, რომ შენ მოიგო. ასეთია შეჯიბრის პრინციპი.

მაგრამ ხსნის მიზნით შეჯიბრის დროს საქმე სხვაგვარად არის. ჩვენი ცხოვრების, ჩვენი აზრების ღვთის ნებასთან თანხმობაში მოსაყვანად სულაც არ არის აუცილებელი, რომ ვინმეს შევერკინოთ. ამ შეჯიბრებაში ჩვენი მეტოქე სატანაა. ჩვენ მას ვუპირისპირდებით. შემიძლია დაგარწმუნოთ, რომ ბოროტს არავითარ შემთხვევაში არ უნდა, რომ ეს ბრძოლა შენ მოიგო. ის ყველაფერს გააკეთებს, რათა ბოლოს გამარჯვებული თვითონ გამოვიდეს. ის არის ჩვენი მტერი.

ყველა იმათგანი, ვინც ძალ-ღონეს არ ზოგავს, ვინც წესებს იცავს, ვისაც უყვარს ქრისტე, ვინც ბოლომდე ერთგული დარჩება, გვირგვინს მიიღებს. მაგრამ ჩვენ უნდა ვებრძოლოთ ჩვენს მტერს, ბოროტს. უფლის შემწეობით შევძლებთ მის დამარცხებას.

ყველა შეჯიბრს თავისი მსაჯი ჰყავს. ის თვალყურს ადევნებს, რომ წესები იქნას დაცული, ის ერთადერთია, ვინც წყვეტს, თუ ვინ არის გამარჯვებული. ხსნისათვის შეჯიბრსაც ჰყავს თავისი მსაჯული: იესო ქრისტე. ის გადაწყვეტს, თუ ვინ არის გამარჯვებული. ის თვითეული ადამიანის აზრებსა და საქმეებს განსჯის. ხალხს არ მოსწონს ამგვარი შეხედულება, მაგრამ თავად იესომ თქვა, რომ შენი საქმეებისამებრ განისჯებიო.

როცა ასპარეზობა დასრულდება, ვერ წარვსდგები იესოს წინაშე და ვერ ვეტყვი: „კარგი მაგრამ, შეხედე, როგორ მოიქცნენ სხვები - ზუსტად იგივე გააკეთეს!“ ვერ ვეტყვი: „სხვებმა არ დაიცვეს წესები და ამიტომ არც მე დავიცავი.“ როცა მეორედ მოვა, იესო ჩემი საქმეებისა და ზრახვების მიხედვით განმსჯის და არ მიაქცევს ყურადღებას იმას, თუ რა გააკეთეს სხვებმა. ჩვენი საქციელის გასამართლებლად სხვებისკენ ვერ გავიშვერთ ხელს. უნდა გავითვალისწინოთ ის, რომ იესო განგვსჯის და ჩვენს მოტივაციას იკითხავს. მიღებულნი ისინი იქნებიან, ვისაც იესო ქრისტე უყვარს. ჩვენი განსჯის საზომი ჩვენი სიყვარული და ხსნისადმი ჩვენი მოთხოვნილება იქნება. ეს იქნება განსჯის საფუძველი. ცხადია, ყველა სიტუაციაში ვერ გავიმარჯვებთ ბოროტზე. მაგრამ, ძმებო და დებო, ერთი რამ ნუ დაგავიწყდებათ: ჩვენი განსჯის საზომი ჩვენი სიყვარულის ინტენსივობა, გადარჩენის სურვილი და ღვთის ნებისამებრ მოქმედების გადაწყვეტილება იქნება. ერთი მხრივ, გვანუგეშებს ის, რომ მაშინაც მიგვიღებენ, თუ ყველაფერს ვერ შევასრულებთ. მეორე მხრივ, ამას ძალიან სერიოზულად უნდა მივუდგეთ, ვინაიდან, თუ საკუთარ თავს ჩავუღრმავდებით, მივხვდებით, რომ ღვთის ნების შესასრულებლად უფრო მეტი ძალისხმევის გამოჩენაც შეგვეძლო.

მაშ ასე, ბევრი ენერგია უნდა დავხარჯოთ, უნდა ვიბრძოლოთ, უნდა დავიცვათ წესები, სიყვარულის მცნება, უნდა შევებრძოლოთ მტერს, ბოროტს, და უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ ჩვენი განმკითხველი იესო ქრისტე იქნება.

და კიდევ ერთი, ბოლო პუნქტი. ათლეტი არ წყვეტს იმას, თუ როდის იქნება შეჯიბრი. ის ვერ იტყვის: „უი, არა, ოღონდ დღეს არა! განწყობაზე ვერ ვარ, უკეთესი იქნება, თუ ოლიმპიურ თამაშებს ხვალ დავიწყებთ!“ იმას, თუ როდის დაიწყება ასპარეზობა, სულ სხვა ვინმე ადგენს და ადამიანი მზად უნდა იყოს ამისთვის.

სამხ. მოციქული ურს ჰეგაიზენი (გერმანია) 36 წელი მოციქულად მსახურების შემდეგ დამსახურებულ პენსიაზე გავიდა. გამომშვიდობებისას პირველმოციქულმა ჟან-ლუკ შნაიდერმა მისი მოღვაწეობა სამ ნიშნულზე დაიყვანა: გულმხურვალება, სიყვარული და ღვთისადმი ნდობა

ბევრი ქვეყანა, ბევრი ხალხი, ბევრი კულტურა. არც თუ ისე იოლი დავალებაა, რომელიც ედი ინსნუგროჰოს, როგორც ახალ მოციქულს, სამხრეთ აზიასთან მიმართებაში დაეკისრა. ის, თუ როგორ უნდა მიაღწიოს წარმატებას ამ საქმეში, პირველმოციქულმა მას დავალების დაკისრებისას უთხრა

ღმერთმა გადაწყვიტა, რომ შეჯიბრი ახლა, ზუსტად დღეს დაიწყება, და ყურად უნდა ვიღოთ ეს. იესოს ვერ ვეტყვით: „ძალიან ახალგაზრდა ვარ ამისთვის, იქნებ კიდევ ათი წლით გადაგვედო შეჯიბრი, მაშინ ყველაფერი კარგად იქნებოდა.“ ბრძოლა დღეს იწყება, აქ, შენს ცხოვრებაში. მოდით, ძალ-ღონე არ დავიშუროთ იმისათვის, რომ ეს ბრძოლა მოვიგოთ! იესოს შეწევნით შევძლებთ მოგებას, შევძლებთ ხსნისა და, ამდენად, გვირგვინის მოპოვებასაც.

რაში მდგომარეობს ხსნა? ვიტყოდი, რომ ხსნა არის სიცოცხლის გვირგვინი, საუკუნო სიცოცხლე, საუკუნო თანაზიარება ღმერთთან. გვირგვინი გამარჯვების, სახელ-დიდების ნიშანია. იმას, ვისაც პირველ აღდგომაში ექნება წილი, ვინც აღდგომის სხეულს, განდიდებულ სხეულს მიიღებს და ღვთის სასუფეველში შევა, ის იესო ქრისტეს დიდების მონაწილეც იქნება.

თუმცა გვირგვინი მბრძანებლობისა და ძალაუფლების ნიშანიც არის. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მძლეველნი, რომლებიც შეჯიბრს მოიგებენ, იესო ქრისტესთან ერთად იმეფებენ. ისინი ღვთისა და ქრისტეს მღვდლები გახდებიან და მასთან ერთად იმეფებენ ათასი წელი (გამოცხ. 20, 6).

მაგრამ კარგად უნდა გავერკვეთ იმაში, თუ რას ნიშნავს ეს მეფობა. იესო ქრისტეს მშვიდობის სასუფეველში პოლიტიკური ძალაუფლების განხორციელება არ მოხდება. ეს მეფობა არ იქნება არც პოლიტიკური და არც დროებითი. როცა იესო იმეფებს, ეს იმას ნიშნავს, რომ იგი მისი სახარების შეუფერხებელ უწყებას უზრუნველყოფს. ასეთი იქნება ქრისტეს მეფობა ათასწლიან მშვიდობის სამეფოში. ის იმეფებს და ვერავინ შეუშლის მას ხელს სახარების უწყებასა და ადამიანთა გადარჩენაში. იესო საკუთარი თავის ერთგულია. ის იმეფებს როგორც მსახური. ეს არის მსახურება ადამიანისათვის ყველა ადამიანის გადასარჩნად.

მაშასადამე, როცა ამბობენ, რომ მასთან ერთად ვიმეფებთ, ეს იმას ნიშნავს, რომ ისინი, რომლებიც მასთან ერთად იქნებიან მის სამეფოში, მას და ადამიანებს მოემსახურებიან იმ მიზნით, რომ ყველას მიეცეს გადარჩენის საშუალება. ისინი ყველას აუწყებენ სახარებას. მათი მეფობა მსახურება იქნება.

ერთხელ იესომ ერთი იგავი თქვა, იგავი მიბარებულ მნაებზე (ლუკ. 19, 11-27). ერთი დიდგვაროვანი კაცი თავის მსახურებთან მივიდა, ისინი ათნი იყვნენ,

პირველმოციქულს თან ახლდნენ სამხ. მოციქულები იურგ ცბინდენი (შვეიცარია, სურათზე), მარკ ვოლი (კანადა), პეტერ შულტე (წყნარი ოკეანის დასავლეთი) და ურს ჰეზაიზენი

და ათივეს ათ-ათი მნა მისცა. მათ ეს ფული უნდა მოეხმარათ და საქმეში ჩაედოთ. ერთ-ერთი მათგანი ძალიან ბეჯითი და წარმატებული გამოდგა, ერთი მნადან ათი მნა მოიგო. როცა პატრონი დაბრუნდა, უთხრა მას: „კარგი, კეთილო მონავ; რაკი მცირედში სანდო იყავი, ათი ქალაქის მმართველობას მოგანდობ შენ.“

მეორემ საქმეში ჩადო მიბარებული ფული და ხუთი მნა მოიგო. ამით მანაც გაახარა პატრონი და ამ უკანასკნელმა უთხრა მას: „ხოლო შენ ხუთ ქალაქს მოგანდობ.“ ზარმაცმა მონამ კი, რომელმაც არაფერი გააკეთა მიცემული ფულით, ვერც ვერაფერი მიიღო. ე. ი., ყველა მათგანი სხვადასხვა საზღაურით დაჯილდოვდა, ერთმა ათ ქალაქზე მმართველობა მიიღო, მეორემ კი -ხუთზე.

თუ ძალაუფლებაში მბრძანებლობას მოვიაზრებთ, მაშინ შეგვიძლია ვთქვათ: „კარგია, როცა ათი ქალაქის მბრძანებელი ხარ. ხუთ ქალაქზე მბრძანებლობას სჯობია.“ მაგრამ ეს ასე არ არის. აქ მბრძანებლობაზე არ არის ლაპარაკი. ყველა მსახურია. მშვიდობის სასუფეველში ყველა ღმერთის მსახური იქნება. მაგრამ ყველა ჩვენთაგანი განსხვავებულად, ჩვენი შესაძლებლობებისა და უნარის მიხედვით იმსახურებს. თუმცა მსახურებად დავრჩებით. მსახურება სხვადასხვანაირი იქნება, ხოლო გვირგვინი, საზღაური - ერთი და იგივე. ისინი საუკუნოდ იესოსთან დაივანებენ. ეს არის სიცოცხლის გვირგვინი. ამ ისტორიის დასასრული კი ასეთია: ყველა, ვინც ახალ შემოქმედებაში დაიმკვიდრებს, ღმერთის მსახური იქნება და მასთან ერთად იმეფებს. ეს ურთიერთკავშირი არასოდეს დაირღვევა. მათ წილი ექნებათ მის დიდებაში და დიდებულებაში და უკუნისამდე მის სამსახურში იქნებიან.

ძმებო და დებო, ეს არის ჩვენი მომავალი. მოდით, ჭეშმარიტი მებრძოლები ვიყოთ. მოდით, ყოველ დღე იმისათვის ვიბრძოლოთ, რომ ჩვენი აზრები და საქმე ღვთის ნებასთან თანხმობაში მოდიოდეს. ეს საკმაოდ რთულია და ტანჯვას ნიშნავს. მაგრამ, მოდით, მივიღოთ ეს გამოწვევა!

დავიცვათ წესები და უფლისა და მოყვასის სიყვარულით ვიმოქმედოთ. არ უნდა ვიბრძოლოთ ჩვენი ძმისა და ჩვენი დის წინააღმდეგ. ჩვენ ბოროტის წინააღმდეგ უნდა ვიბრძოლოთ. ზოგჯერ მოვიგებთ, ზოგჯერ წავაგებთ კიდეც, და ეს კარგად გვესმის. ის, რასაც მნიშვნელობა აქვს, ჩვენი სიყვარული და გულითადი წადილია.

მაშ, ახლავე მივიღოთ ბრძოლა. ერთგული გაიმარჯვებს. ისინი, ვისაც ნამდვილად უყვარს იესო, გვირგვინს მიიღებენ.

ძირითადი აზრები

სიცოცხლის გვირგვინის მოსაპოვებლად ბრძოლაა საჭირო იმისათვის, რომ

- ჩვენი აზრები და ქცევა ღვთის ნებასთან თანხმობაში მოდიოდეს;
- ღვთისა და მოყვასის სიყვარულის მცნება დავიცვათ.

ბრძოლა რაღაც-რაღაცეებზე უარის თქმასა და ტანჯვისთვის მზადყოფნას მოითხოვს. ამ ბრძოლაში გამარჯვებულები იესო ქრისტესთან ერთად იმეფებენ მშვიდობის სამეფოში.

ფოტო: ჯუსიკა ჯრეგერი

სიცხადე საიმედო წყაროდან

სიტყვა ბიბლიიდან, სამი მაგალითი, ოთხი წყარო და უწყვეტი პროცესი - რაც შეეხება „კურთხევას“, ეს თემა, მართლაც, რომ სულ მუდამ ტრიალებს. ახალი იმპულსების მთელი ნაკადი პირველმოციქულის ღვთისმსახურებიდან, რომელიც 2019 წლის 20 იანვარს ვისბადენში (გერმანია) ჩატარდა.

ბიბლიური კონტექსტი: ქალებ იეფუნეს ძემ, რომელიც უწინ მოსეს ერთ-ერთი მზვერავი იყო, ქანაანში თავის ქალიშვილს საქორწინო საჩუქრად მიწა მისცა. მაგრამ ეს მიწა გამომშრალი იყო. ამიტომაც ასულმა მამას დახმარება სთხოვა. პირველმოციქულმა ჟან-ლუკ შნაიდერმა სწორედ ეს ამბავი აიღო ღვთიური კურთხევის მაგალითად. „ღმერთი კურთხევის წყაროებს გვაძლევს: ზემო და ქვემო წყაროებს.“ მაგრამ, მაინც რა არის კურთხევა? „ღვთიური კურთხევა ხსნაა, რომელსაც ღმერთი გვწყალობს. ღვთიური კურთხევაა ყოველივე ის, რაც საუკუნო სიცოცხლეს უწყობს ხელს.“

ზემო წყარო

„კურთხევის ზემო წყარო - ზეციური ხსნის წყარო - იესო ქრისტეა“, ხაზი გაუსვა პირველმოციქულმა. „ხსნა მისი დამსახურების, მისი რჩეულების, საიდუმლოების, სიტყვის, მისი საქმეების წყალობით გვეძლევა.“ მაგრამ ეს ავტომატურად არ ხდება. „წყაროს, ჭის, მაგალითი გვეუბნება, რომ უნდა მივიდეთ იქ და დავეწაფოთ წყალს.“

- მისვლა შემდეგს ნიშნავს: „ხსნის მისაღწევად რწმენით უნდა მივიდეთ იესო ქრისტესთან. წყაროსთან უნდა მივიდეთ და რწმენის, მონანიებისა და სინანულის გზით ვიაროთ.“
- დაწაფება ნიშნავს: „იმისათვის, რომ საიდუმლოთა ძალა ნამდვილად ამოქმედდეს, ნამდვილად გაიხსნას, კარგად უნდა გავითავისოთ შემდეგი: „მსურს, უარი ვუთხრა ცოდვას. მსურს, ვძლიო ბოროტს. მსურს ღმერთთან თანაზიარება. მსურს, ვიყო სასძლოს ნაწილი. მსურს, შევიდე ღვთის სასუფეველში.“

ქვემო წყაროები

„ღმერთმა ქვემო წყაროებიც მოგვცა“, აღნიშნა ეკლესიის მეთაურმა:

31 000-მა ერთმორწმუნე და-ძმამ მიიღო ღვთისმსახურებაში მონაწილეობა; მათგან 900 ვისბადენის ეკლესიაში იმყოფებოდა.

- ჩვენი ძალა და უნარი: „თუ მათ ჩვენი ხსნისათვის გამოვიყენებთ, თუ ჩვენს ძალებს, ჩვენს ნიჭსა და უნარს ღვთის სამსახურში ჩავაყენებთ, მაშინ ისინი კურთხევის წყაროდ იქცევიან“;
- მოციქულები და მღვდელმსახურები: „თუ ხსნის მისაღწევად მათ მივმართავ დასახმარებლად, თუ მათ მივმართავ იმისათვის, რომ ჩემი სულის სასარგებლოდ სწორი გადაწყვეტილება მივიღო, მაშინ ძალას, ნუგეშსა და კეთილგანწყობას ვპოვებ. მაგრამ უნდა მივიდე და დავეწაფო“;
- თემი: „იმისათვის, რომ თემის ამ სიმდიდრით დავტკბეთ, ჯერ ინვესტიცია უნდა ჩავდოთ. თუ გინდა, რომ უყვარდე ვინმეს, ჯერ შენ შეიყვარე. თუ დახმარება გჭირდება, ჯერ შენ დაეხმარე. თუ კეთილგანწყობას ეძებ, ჯერ შენ იყავი კეთილგანწყობილი სხვის მიმართ.“

კურთხევის უწყვეტი პროცესი

„კურთხევანი ქვემოდან, კურთხევანი ზემოდან - მე ამაში კიდევ ერთ მშვენიერ სურათს ვხედავ: კურთხევის უწყვეტ პროცესს“, თქვა პირველმოციქულმა. „ღმერთი აკურთხებს ადამიანებს, ადამიანები კი აკურთხებენ ღმერთს.“

ძირითადი აზრები:

იესო 15, 19:

„და მან უპასუხა: ‘მომეცი მე კურთხევა. რაკი სამხრეთის ქვეყანა მომეცი, ბარემ ახლა წყლის წყაროებიც მომეცი.“ და მან მისცა მას ზემო და ქვემო წყაროები.“

ღმერთი გვაკურთხებს: ხსნას ის იესო ქრისტეში გვთავაზობს. თუკი ღვთისგან ნაბოძებ ნიჭს ბრძნულად გამოვიყენებთ, ღმერთი იმის საშუალებას მოგვცემს, რომ კურთხეულნი ვიყოთ. ჩვენ კი იმით ვაკურთხებთ ღმერთს, რომ ვადიდებთ და ვემსახურებით მას. მოყვასს იმით ვაკურთხებთ, რომ მიღებულ ლოცვა-კურთხევას მასაც ვუნაწილებთ.

„ჩვენ ვიცით, რომ ღმერთმა გვაკურთხა: ზემო წყაროთი და ქვემო წყაროთი.“ ამის პასუხად „ჩვენც ვაკურთხებთ ღმერთს ანუ ვენდობით მას, მადლობას ვუხდით და ვემსახურებით.“

და კიდევ: „გვსურს, რომ ჩვენი მოყვასისათვის კურთხევის წყაროდ ვიქცეთ. ჩვენ შეგვიძლია შევიცნოთ ღვთიური კურთხევა, იგი ხომ ასეთი დიდია; ძვირფასია რა იგი ჩვენთვის, გვინდა, რომ სხვებსაც გადავცეთ ის.“

სტუმრად მარიანხელთან სან-ხოსეში (კოსტა რიკა)

Fotos: privat

ჩემი სახელია მარიანხელი და მიყვარს, როცა კვირაობით ერთად ვსაუზმობთ; ამ დროს მთელი ოჯახი ერთად იკრიბება და მშვიდად მიირთმევს საუზმეს. ჩემი საყვარელი საჭმელებია სპაგეტი ყველით, ხორცის წვნიანი და კარტოფილი ფრი.

იმის გამო, რომ ჩემს მშობლებს ჩემზე ზრუნვა არ შეუძლიათ, ბებიასთან და პაპასთან ვცხოვრობ. ბებიაჩემს ლენა ჰქვია, პაპაჩემს კი - ოსკარ-ადოლფო; მე მათ დედიკოს და მამიკოს ვეძახი.

კვირაობით, საუზმის შემდეგ, ტარასუში მივემგზავრებით, რათა ღვთისმსახურებას დავესწროთ ეკლესიაში. გასული წლიდან საკვირაო სკოლაში დავიწყე სიარული. გაკვეთილებს ჩემი დედიკო და დეიდა ფანია გვიტარებენ. ორივე მასწავლებელია: დედიკო დაწყებით სკოლაში ასწავლის სან-ხოსეში, დეიდაჩემი ფანია კი - მოსამზადებელ კლასში. ჩვენი თემის საკვირაო სკოლაში მატვეი, მატეო, ემა და დომინიკიც დადიან. მე სიმღერა მიყვარს. ბიძაჩემი ფაბიო ბავშვობიდან ორღანზე უკრავს, ის ჩვენ ახალ სიმღერებს გვასწავლის.

ეს ფოტო ჩვენი სამხ. მოციქულის, ლეონარდ რ. კოლბის, ვიზიტს გვახსენებს. ის აშშ-ში ცხოვრობს, მაგრამ ცენტრალურ ამერიკასაც კურირებს, მათ შორის კოსტა-რიკასაც.

კოსტა-რიკა წყნარ ოკეანესა და კარიბის ზღვას შორის მდებარეობს. ქვეყანა თავის სახელს მის აღმომჩენ ქრისტეფორე კოლუმბს უმადლის. როცა მეზღვაური ნაპირს მოადგა, დაინახა, რომ ადგილობრივები ოქროს სამკაულებს ატარებდნენ. ამიტომაც კოლუმბმა ამ მიწას კოსტა-რიკა უწოდა (= მდიდარი ნაპირი). ჩვენ ვცხოვრობთ კოსტა-რიკის ნომერ პირველ პროვინციაში, რომლის დედაქალაქიც სან-ხოსეა.

მაისში თერთმეტი წლის გავხდები. მე დაწყებითი სკოლის მეოთხე კლასში ვარ, რომელიც კოსტა-რიკას ეროვნული გმირის, ხუან სანტამარიას სახელს ატარებს. ის კოსტა-რიკის არმიაში მედაფდაფედ მსახურობდა, მისი დახმარებით არმიამ ბრძოლა მოიგო და ქვეყნის დამოუკიდებლობა დაიცვა. ჩემი საყვარელი საგანი მათემატიკაა; მიყვარს მათემატიკური ამოცანებისა და განტოლებების ამოხსნა. გარდა ამისა, მინდა მონაწილეობა მივიღო მოსწავლეთა ხელოვნების ფესტივალში. წელს ნიღბების, ფერადი ნახატებისა და ფოტოსურათების განხრით გავაკეთე განაცხადი.



გაკვეთილებზე და სკოლაში ცოტა ფლეიტაზე დაკვრაც ვისწავლე. სახლში ლეგოსა და ჩემს თოჯინებთან თამაში მიყვარს. ჩემი საყვარელი ფერი მუქი ვარდისფერია, ფუქსია. ჩემი აზრით, ძალიან მხიარული ფერია.

წყარო: საბავშვო ჟურნალი, 02/2019 წლის გამოცემა; ბირადი, Vera Latozki, stock.adobe.com: © ondrejprosicky, © Simon Dannhauer, © Jordan, © Arayan, © Patrick Betts

| სასულიერო თანამდებობის გაგება

სასულიერო თანამდებობის დონეები, ხუთი სახელმძღვანელო დონე; მახარებლის, მწყემსის, სამხ. მახარებლის, სამხ. ხუცესის არანაირი ორდინაცია მომავალში; ეპისკოპოსის დანიშვნა, განსხვავება ორდინაციებს შორის, დავალების დაკისრება და დანიშვნა - ახალსამოციქულო ეკლესიის სასულიერო თანამდებობის გაგება ნაცნობსა და ახალს გვთავაზობს - მიმოხილვა.

სასულიერო თანამდებობის გაგება ორიენტირებულია ახალი აღთქმის მოწმობაზე და იმაზე, რომ იგი იესო ქრისტეს პიროვნების საქმესა და არსს ამართლებდეს. მოციქულების ამოცანას - ეს სასულიერო თანამდებობა თავად იესომ დააწესა - „ღვთის საიდუმლოთა მნეებად“ ყოფნა წარმოადგენს (კატ. 7. 4. 1 / კატ-კპ 421-433). აქედან გამომდინარე, მოციქულები ვალდებულნი არიან, სასულიერო თანამდებობის განაწესი დროის მოთხოვნების შესაბამისად ჩამოაყალიბონ და დაადგინონ.

სასულიერო თანამდებობის სათავე

„ყველაფრის სათავე, რასაც ეკლესია ეფუძნება და რასაც იგი წარმოადგენს, იესო ქრისტეს პიროვნება და მისი საქმეებია, იესოა ხსნა და ხსნის მომტანი“ (კატ. 6. 2. 2 / კატ-კპ 368, 369). იესო ქრისტეს ორი ბუნება გააჩნია: ის არის ჭეშმარიტი კაცი და ჭეშმარიტი ღმერთი (კატ. 3. 4. 3 / კატ-კპ 104-106) - ამის სწამთ და ამას აღიარებენ ნებისმიერი კონფესიის ქრისტიანები. იესოს პიროვნება - რომელიც ამ ორივე ბუნებისგან შედგება - და მისი საქმეები ეკლესიისა და ყოველივე იმის მასშტაბს ქმნიან, რაც ეკლესიის ამოცანასა და ფორმას განეკუთვნება. ამიტომაც ლოგიკურია, რომ მოძღვრება ეკლესიის, საიდუმლოებისა და სასულიერო თანამდებობის შესახებ ორბუნებოვნებასთან ურთიერთკავშირშია. სასულიერო თანამდებობისა და პიროვნების ურთიერთობის განსაზღვრის მეშვეობით ეს უფრო ნათლად უნდა იქნას ახსნილი.

სასულიერო თანამდებობის არსი

სასულიერო თანამდებობა და პიროვნება ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია, შეიძლება ითქვას, ერთმანეთთან გადაჯაჭვულიც. ქრისტეს ორბუნებოვნებასა და სასულიერო თანამდებობისა და პიროვნების ურთიერთდამოკიდებულებას შორის შესაბამისობა არსებობს: სასულიერო თანამდებობა ღვთიურ ბუნებაზე მიუთითებს, მღვდელმსახურის პიროვნება კი - კაცებრივ ბუნებაზე.

სასულიერო თანამდებობა და პიროვნება

ის კარგი უნარები და თვისებები, რომლებიც პიროვნებას გააჩნია, ორდინაციის აქტით სასულიერო თანამდებობის აღსრულების სამსახურში დგება. თუმცაღა ორდინაციას ახალი ნიჭების გადაცემასთან კავშირი არა აქვს.

იესო ქრისტეს ნებისამებრ, მღვდელმსახური მოციქულობასთან ერთობაში მუშაობს. ის ღვთისა და თემის მსახურია და ცდილობს, სახარებას სიტყვითა და საქმით შეესაბამებოდეს. სასულიერო თანამდებობა და პიროვნება, თანამდებობის აღსრულება და ცხოვრების წესი, ერთმანეთთან თანხმობაში უნდა მოდიოდეს იმგვარად, რომ სიტყვითა და საქმით ორივე იესო ქრისტეზე იყოს ორიენტირებული.

მღვდელმსახური სახარებას უნდა იუწყებოდეს და წარმოადგენდეს მას, კერძოდ, ახალსამოციქულო მრწამსისამებრ და მისი განმარტებების შესაბამისად ისე, როგორც იგი ახალსამოციქულო ეკლესიის კატეხიზმოშია მოცემული. გარდა ამისა, მღვდელმსახური სერიოზულად უნდა იყოს განწყობილი იმის მიმართ, რომ შეესატყვისებოდეს სახარებას, როცა მას ეკლესია თეოლოგიურ-საგანმანათლებო ან სხვა ისეთ რამეს სთავაზობს, რაც საეკლესიო მსახურების წარმართვის უნარს მიანიჭებს მას.

მართალია, ახალსამოციქულო გაგებით, სასულიერო თანამდებობა და პიროვნება მჭიდროდ არის ერთმანეთთან დაკავშირებული, მაგრამ არა ისე, რომ შეუძლებელი იყოს პიროვნებისათვის ამ თანამდებობის მოხსნა. სასულიერო თანამდებობა პიროვნების მფლობელობაში არ გადადის, ის არც პიროვნების წარუშლელი ნიშანია, არამედ იგი არის და იქნება ქრისტეს მადლი, რომელიც იესო ქრისტეს განკარგულებაშია და რომელსაც იგი ანიჭებს ან ართმევს. მაშასადამე, პიროვნების სასულიერო თანამდებობიდან განთავისუფლება შესაძლებელია.

სასულიერო თანამდებობა და უფლებამოსილება

იესო ღმერთმა მოავლინა და სათანადო უფლებამოსილებებით აღჭურვა. „ხელმწიფება და მმართველობა, ღმერთთან შერიგება, ღვთის ნების უწყება და მომავლის წინასწარმეტყველება: ყოველივე ეს სრულყოფილი სახით იესო ქრისტეში გვხვდება“ (კატ. 3, 4, 7 / კატ-კპ 116). მოციქულობა იესო ქრისტეს უფლებამოსილების ნაწილია: „სამოციქულო მსახურება იესო ქრისტეს მიერ ნაბოძები და სულიწმიდის მიერ მართული მოციქულის სასულიერო თანამდებობაა თავისი უფლებამოსილებებით: სახარების უწყების, საიდუმლოთა მინიჭებისა და ცოდვათა მიტევების უფლებამოსილებებით“ (მათ. 28, 19; იოან. 20, 23; კატ. 6. 4. 1. 4). ამდენად, მოციქული, როგორც ქრისტეს მიერ მოვლინებული, უფლის მღვდელმთავრობის მონაწილეა, რომელზედაც ებრაელთა მიმართ ეპისტოლეშია საუბარი (ებრ. 4, 14 / კატ-კპ 425).

ეს უფლებამოსილება ყველა სასულიერო თანამდებობას არა აქვს. სასულიერო თანამდებობის სამი დონე - მოციქული, მღვდელი, დიაკვანი - იმ განსხვავებულ უფლებამოსილებებზეა დაფუძნებული, რომლებიც ცალკეულ სასულიერო თანამდებობაში არსებობს. მეხუთე სარწმუნოებრივ დებულებაში ნათქვამია: „მე მწამს, რომ ღვთისგან რჩეულთ სასულიერო თანამდებობისათვის მხოლოდ მოციქულები აკურთხებენ ხელდასხმით და, რომ უფლებამოსილება, კურთხევა და მსახურებისათვის განწმედა მოციქულობიდან გამომდინარეობს“ (კატ. 2. 4. 5 / კატ-კპ 37, 45).

სამღვდელო პირები და დიაკვნები სხვადასხვაგვარად მონაწილეობენ მოციქულთა თანამდებობრივ უფლებამოსილებაში: სამღვდელო პირებს მინდობილი აქვთ წყლით წმიდა ნათლობა და წმიდა ზიარება, ცოდვათა მიტევების უწყება, სახარების სწორად ქადაგება და ლოცვა-კურთხევის მოფენა (კატ. 7. 9. 1 / კატ-კპ 452, 469). დიაკვნებს საიდუმლოთა მინიჭების უფლებამოსილება არა აქვთ, თუმცა სამღვდელო პირების მსგავსად მინიჭებული აქვთ სახარების სწორად უწყებისა (კატ. 2. 4. 5 / კატ-კპ 45) და წმიდა სამების სახელით კურთხევის მოფენის უფლებამოსილება „სიტყვის ლიტურგიაზე“.

უფლებამოსილება და საიდუმლოთა მინიჭება

„საიდუმლოთა ყოვლისმომცველი მართვა, ე. ი., წყლით წმიდა ნათლობის მინიჭების, წმიდა ზიარებისა და სულიწმიდით აღბეჭდვის მართვა მოციქულებს აქვთ მინდობილი“ (კატ. 6. 4. 4 / კატ-კპ 402, 404). მღვდელმსახურები მონაწილენი არიან მოციქულთა იმ უფლებამოსილებისა, რაც საიდუმლოთა მინიჭებაში მდგომარეობს; მათ შეუძლიათ მიანიჭონ როგორც წმიდა ზიარება, ასევე წყლით ნათლობა.

სიტყვის უწყების უფლებამოსილება

„სწავლების დავალება უფლის სიკვდილის, აღდგომისა და მეორედ მოსვლის სახარების სწორ უწყებას ეხება“ (კატ. 2. 4. 4 / კატ-კპ 44). აქ, უპ. ყოვლისა, შინაარსობრივ ჩარჩოებს აქვს ხაზი გასმული, რომლის ფარგლებშიც სახარების სწორი უწყება ხდება.

სახარების სწორი უწყება ქრისტეს სიტყვაზეა დაფუძნებული, რომელზედაც ახალი აღთქმა მოწმობს. თუ შეისმენენ მას, ის გააღვიძებს და განამტკიცებს რწმენას (რომ. 10, 17). „ქრისტეს სიტყვას“, ანუ მის ქადაგებას, რომელიც მოციქულებისა და იესოს თანამედროვეების მისამართით იყო ნათქვამი, მოციქულები და მათთან დაკავშირებული მღვდელმსახურები სრული უფლებამოსილებით ავრცელებენ.

პირველმოციქული ხაზს უსვამს იმას, რომ სწორი ქადაგების საფუძველი ბიბლიაა და „თანამედროვე მოციქულებს სულიწმიდის დახმარებით ბიბლიის განმარტების ამოცანა აკისრიათ და ამის შეძლებაც აქვთ“. რაც შეეხება ბიბლიის სწორ უწყებას, აქ მღვდელი და დიაკვანი მოციქულობის უფლებამოსილების მონაწილენი არიან.

სასულიერო თანამდებობის სტრუქტურა

მას შემდეგ, რაც სასულიერო თანამდებობის გაგებასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი ასპექტები განვიხილეთ, ქვემოთ წარმოდგენილი იქნება სასულიერო თანამდებობის სტრუქტურა.

ეს სტრუქტურა სასულიერო თანამდებობის სამ დონეს ეყრდნობა: მოციქულობას, მღვდელმსახურებას და დიაკვნობას სხვადასხვა სასულიერო უფლებამოსილებით. მომავალში მხოლოდ მოციქულების, მღვდლებისა და დიაკვნების ორდინირება მოხდება. დანარჩენი სასულიერო თანამდებობანი დაკავებული აღარ იქნება, როგორც ეს, მაგ., თემის ხუცესებისა და დიაკვნის თანაშემწეების შემთხვევაშია.

თანამდებობრივი უფლებამოსილება და თანამდებობრივი დავალება

მხოლოდ სამ სასულიერო თანამდებობას გააჩნია განსაზღვრული უფლებამოსილებები. ცნება „უფლებამოსილება“ უკავშირდება იმას, თუ რა

მღვდელმოქმედებების (საიდუმლოთა მინიჭება, ლოცვა-კურთხევის მოფენა, სახარების საჯარო უწყება) ჩატარების უფლება აქვს კონკრეტულ მღვდელმსახურს.

სასულიერო თანამდებობა მოიცავს როგორც უფლებამოსილებას, ასევე დავალებას. თანამდებობრივი უფლებამოსილება თეოლოგიური ხასიათისაა, თანამდებობრივი დავალება კი - კანონიკურის.

- თანამდებობრივი უფლებამოსილების განსაზღვრება: უფლებამოსილება არის იესო ქრისტეზე დაფუძნებული, სამერთი ღმერთის სახელით მოქმედებისა და ლაპარაკის უფლება, რომელიც მღვდელმსახურს მოციქულთა მიერ განხორციელებულ ორდინაციასთან ერთად სულიწმიდის ძალით გადაეცემა.
  თანამდებობრივი უფლებამოსილების მინიჭება ორდინაციის მეშვეობით ხდება. იგი უქმდება მოციქულის მიერ სასულიერო თანამდებობიდან გადადგომის მოთხოვნის დაკმაყოფილებასთან ერთად, სასულიერო თანამდებობიდან მოხსნის ან სიკვდილის შემთხვევაში.
- თანამდებობრივი დავალების განსაზღვრება: თანამდებობრივ დავალებასთან ერთად მღვდელმსახურს ეკისრება ვალდებულება და ენიჭება უფლება, განახორციელოს მსახურება მისთვის მინიჭებული უფლებამოსილებით დროისა და სივრცის დადგენილ ფარგლებში.
  თანამდებობრივი დავალების დასრულება ხდება კომპეტენციის სფეროს შეცვლასთან ერთად, დამსახურებულ პენსიაში გაშვებასთან ერთად, ასევე მოციქულის მიერ სასულიერო თანამდებობიდან გადადგომის მოთხოვნის დაკმაყოფილების, სასულიერო თანამდებობიდან მოხსნის ან სიკვდილის შემთხვევაში.

ორდინაცია - დავალება - დანიშვნა

ორდინაცია - დავალება - დანიშვნა - ეს სამი კატეგორია ერთმანეთისგან შინაარსობრივად განსხვავდება იმით, რომ ორდინაციის დროს უფლებამოსილების გადაცემა ხდება, დავალების მიცემისას კი - სასულიერო ხელმძღვანელობისა და ადმინისტრაციული ფუნქციების გადაცემა. დანიშვნის დროს პიროვნებას სასულიერო არსის მქონე მსახურებას ანდობენ. ორდინაციის, დავალების მიცემისა და დანიშვნის დროს პირად და პროფესიულ კომპეტენციებს ერთნაირი მნიშვნელობა ენიჭება. დავალება და დანიშვნა დროში შეიძლება იყოს ლიმიტირებული.

ორდინაციები და დავალების მიცემა ღვთისმსახურებაზე ხორციელდება წმიდა ზიარების განაწილების მერე. მათი მიღება მუხლმოყრით ხდება.

მოციქულების, მღვდლებისა და დიაკვნების ორდინირება

ის, რომ ღმერთი ვინმეს სასულიერო თანამდებობისთვის ირჩევს და, რომ ეს ნებისმიერი ორდინაციის საფუძველს წარმოადგენს, სრულად ეხება ამჟამად მოქმედ სასულიერო თანამდებობის განაწესსაც. სასულიერო თანამდებობაზე ორდინაცია ცოდვილის მიმართ განხორციელებული ღვთის საქმეა ღვთისა და ადმიანისადმი მსახურებისათვის: „ორდინაცია სასულიერო თანამდებობაზე დანიშვნას წარმოადგენს. მას აღასრულებს მოციქული სამერთი ღმერთის სახელით, ხელდასხმითა და ლოცვით. ორდინაციით უფლებამოსილების, განწმედისა და კურთხევის მიღება ხდება. ის ხორციელდება იმ კომპეტენციების გათვალისწინებით, რომლებსაც შესაბამის სასულიერო თანამდებობასთან დაკავშირებული მსახურებები მოითხოვს. ამ მსახურებების აღსასრულებლად ხელდასხმის წინ სულიწმიდას თანადგომას სთხოვენ“ („ძირითადი აზრები“, სპეც. ამოშვება 4/2019 წ.). მაშასადამე, ორდინაცია აღნიშნავს იმ მღვდელმოქმედებას, რომლის დროსაც, როგორც უფლებამოსილების, ასევე კურთხევისა და განწმედის გადაცემა ხდება. ორდინირება ხდება შემდეგ სასულიერო თანამდებობებზე:

- პირველმოციქულისა და მოციქულის,
- მღვდლის,
- დიაკვნის.

მოციქულების, მღვდლებისა და დიაკვნების თანამდებობრივი უფლებამოსილება

ყველზე დიდი მნიშვნელობა მოციქულობას ენიჭება, იგი ყველა იმ საკრამენტალურ უფლებამოსილებას შეიცავს, რომლებიც მთლიანად ეკლესიისათვის არის აუცილებელი - ნათლობა, წმიდა ზიარება, სულიწმიდით აღბეჭდვა და სახარების უწყება. სხვა სასულიერო თანამდებობების უფლებამოსილებანი მოციქულთა უფლებამოსილებიდან გამომდინარეობს. ამის შესაბამისად მეხუთე სარწმუნოებრივ დებულებაში ნათქვამია: „მე მწამს, რომ ღვთისგან რჩეულთ სასულიერო თანამდებობისათვის მხოლოდ მოციქულები აკურთხებენ ხელდასხმით და, რომ უფლებამოსილება, კურთხევა და მსახურებისათვის განწმედა მოციქულობიდან გამომდინარეობს“.

ორდინაციის დროს მღვდელი, მოციქულის დავალებით, სახარების სწორად უწყების უფლებამოსილებასთან ერთად ცოდვათა მიტევების, წყლით წმიდა ნათლობის საიდუმლოს მინიჭების, ასევე წმიდა ზიარებისა და ლოცვა-კურთხევის ჩატარების უფლებამოსილებასაც

იღებს. ცოდვათა მიტევების უწყებისა და ორივე დასახელებული საიდუმლოს ჩატარების უფლებამოსილება -კურთხევასა და განწმედასთან ერთად - მოციქულის მიერ სულიწმიდის ძალით გადაცემული სულიერი აღჭურვილობაა.

ორდინაციის დროს დიაკვანს იმის უფლებამოსილება ენიჭება - ე. ი., მოციქულის მიერ სულიწმიდის ძალით გადაცემული სულიერი აღჭურვილობა -, რომ სწორად იუწყოს სახარება ღვთისმსახურებაზე და იაროს სასულიერო ვიზიტებით ოჯახებში, ასევე მოჰფინოს კურთხევა წმიდა სამების სახელით „სიტყვის ლიტურგიაზე“.

მოციქულებისა და მღვდელმსახურებისათვის დავალების დაკისრება

სახელმძღვანელო ფუნქციების შესრულება მღვდელმსახურს შეიძლება სამხ. ეკლესიაში, მთლიანად მხარეში ან თემში დაევალოს.

მიუხედავად იმისა, რომ მოციქულობაში ხელმძღვანელობის ან „მმართველობის“ ხასიათია ჩადებული (რაც ქრისტეს სამ სასულიერო წოდებაში თანამონაწილეობას ნიშნავს: მეფე, მღვდელი და წინასწარმეტყველი - კატ. 3. 4. 7 / კატ-კპ 116), მოციქულებს სხვა სახელმძღვანელო ფუნქციებიც შეიძლება დაევალოთ. სამღვდელო პირებს სახელმძღვანელო ფუნქციების შესრულება ერთ რომელიმე მხარეში ან თემში შეიძლება დაევალოთ.

- მოციქულს სამხარეო მოციქულის მოვალეობა ეკისრება.
- სამღვდელო პირს სამხ. წინამძღვრის ან თემის წინამძღვრის მოვალეობა ეკისრება.

დავალების დაკისრება სრულდება სამერთი ღმერთის სახელით პირველმოციქულის, სამხ. მოციქულის და მოციქულის მიერ, ანდა გამონაკლის შემთხვევაში, მოციქულის მიერ უფლებამოსილი მღვდელმსახურის საშუალებით, ხელდასხმითა და ლოცვით. ასე სიწმიდისა და კურთხევის მიღება ხდება. ის ხორციელდება პირადი კომპეტენციების გათვალისწინებით (მაგ. სასულიერო მზრუნველობის, სწავლების, ორგანიზირების უნარის გათვალისწინებით), რომლებსაც ხელმძღვანელობის შესაბამის ფუნქციებთან დაკავშირებული მსახურებები მოითხოვს. დავალება არ უკავშირდება სასულიერო მოღვაწეობის პერიოდს, მაგრამ მასთან ერთად მთავრდება.

მოციქულებისა და მღვდელმსახურების დანიშვნა

დანიშვნა სასულიერო მსახურების გადაცემაა. ამ მღვდელმოქმედებას ატარებს და საბოლოოდ ასრულებს მოციქული ან სამღვდელო პირი. ის ხორციელდება პირადი კომპეტენციების გათვალისწინებით (მაგ. სასულიერო მზრუნველობის, სწავლების, ორგანიზირების უნარის გათვალისწინებით), რომლებსაც შესაბამისი მსახურება მოითხოვს. ამ მსახურებების აღსასრულებლად ღმერთს კურთხევას სთხოვენ.

პირველმოციქულის, სამხ. მოციქულების, მოციქულებისა და სამღვდელო პირების მიმართ, რომლებიც სახელმძღვანელო ფუნქციებს ასრულებენ, განსაკუთრებულ თანადგომას იჩენენ მათი თანაშემწეები და წარმომადგენლები:

- მოციქული ინიშნება პირველმოციქულის თანაშემწედ, სამხ. მოციქულის თანაშემწედ ან „წამყვან მოციქულად“;
- სამღვდელო პირი ინიშნება ეპისკოპოსად, როგორც მოციქულის თანაშემწე;
- სამღვდელო პირი მხარის ან თემის წინამძღვრის წარმომადგენლად შეიძლება დაინიშნოს.

თანამდებობრივი დავალებისა და თანამდებობრივი უფლებამოსილების დასრულება

სასულიერო თანამდებობა ამ ორივე კომპონენტით - თანამდებობრივი უფლებამოსილებითა და თანამდებობრივი დავალებით - სხვადასხვაგვარად შეიძლება დასრულდეს. იმ დროს, როდესაც პენსიაში გასვლით მხოლოდ თანამდებობრივი დავალება სრულდება, თანამდებობიდან გადადგომის ან გადაყენების შემთხვევაში ორივე წყდება: თანამდებობრივი უფლებამოსილებაც და თანამდებობრივი დავალებაც.

სატიტულო ფურცელი
გამომცემელი: ჟან-ლუკ შნაიდერი, იუბერლანდშტრასე 243, CH-8051 ციურიხი/ შვეიცარია
შპს ფრიდრიხ ბიშოფის გამომცემლობა, ფრანკფურტერშტრასე 233, 63263 ნოი-იზენბურგი/გერმანია
რედაქტორი: პეტერ იოჰანინგი

წყალდიდობის შემდეგ: გადაუდებელ დახმარებასა და აღდგენას შორის

ნათელი ლურჯი ცა, მწვანედ მობიბინე მდელო - შვებულების ფოტოა? რა მოხდა? სწორედ ამ ადგილას სოფელი იყო. „ყველგან ნანგრევებია“, ამბობს ეპისკოპოსი ალვინ ვიტენი. ერთი კვირის განმავლობაში იგი სამხრეთ აფრიკის ახალსამოციქულო ეკლესიის დავალებით ბეირაში მოგზაურობდა.

ბეირა მოზამბიკის დიდი საპორტო ქალაქია 500 000 მცხოვრებით, მაისში მას ქარბორბალა „იდაი“ დაატყდა თავს. ციკლონმა 200 კმ/სთ-ის სიჩქარით მთელ ქვეყანას გადაუარა. ავდარს გადაუღებელი წვიმები ახლდა თან - ერთი დღით ადრე და მერეც. მაოხრებელმა კვალმა ჯერ მალავის, შემდეგ მოზამბიკს და ბოლოს ზიმბაბვეს გადაუარა.

ამ განსაკუთრებულ სიტუაციას ბოლო არ უჩანს

„ანგარიში არსებულ სიტუაციასთან დაკავშირებით“, ოპერატიული ინფორმაცია, ასე ეწოდება საინფორმაციო ბიულეტენს, რომელსაც გაეროს ჰუმანიტარული დახმარების კოორდინაციის სამსახური აგზავნის. მალავისა და ზიმბაბვეში ქარიშხალი ჩაცხრა. მოზამბიკიდან კი ყოველ დღე ახალი ამბები მოდის.

ამ ბუნებრივ კატასტროფას 600-ზე მეტი მსხვერპლი მოჰყვა. დაინგრა დაახ. 240 000 სახლი ან ძალიან დაზიანდა. 160 000-ზე მეტი კაცი 80-ზე მეტ თავშესაფარში ცხოვრობს. თითქოს ეს არ იყო საკმარისი, სასმელი წყლის ნაკლებობამ ეპიდემიებიც გამოიწვია. დღემდე თითქმის 4072 შემთხვევაა ცნობილი.

და ამ ყველაფერს ბოლო მაინც არ უჩანს. წყალდიდობის შემდეგ უკვე სამი კვირა გავიდა და ტერიტორიების დიდი ნაწილი ისევ წყლით არის დაფარული. წლევანდელი წვიმების სეზონიც სწორედ ახლა დაიწყო.

დამხმარენი იმედს იძლევიან

მაგრამ კარგი ახალი ამბებიც არის. ისეთი დიდი ჰუმანიტარული ორგანიზაციები, როგორიც მაგ. წითელი ჯვარია, ადგილზე არიან და გადაუდებელ დახმარებას უწევენ დაზარალებულებს. 860 000-ზე მეტი ადამიანი იქნა უზრუნველყოფილი საკვები რაციონით. და თითქმის იმდენივე აიცრა ქოლერის წინააღმდეგ. ამავე დროს დაიწყო თესლის დარიგება გაჩანაგებული ველ-მინდვრების დასამუშავებლად.

„არაჩეულებრივია იმის ყურება, თუ როგორ მუშაობენ ჰუმანიტარული ორგანიზაციები ერთად“ - აღნიშნა ეპისკოპოსმა ვიტენმა თავისი სამოღვაწეო მხარიდან, მოზამბიკიდან. იქაური ახალსამოციქულო ეკლესია თერთმეტ სამოციქულო მხარეს ითვლის, თითქმის 190 000 წევრით. წყალდიდობით ყველაზე მეტად მოციქულ აგოსტინო ძიმბას მხარე დაზარალდა, რომელიც 43 თემს მოიცავს. რვა ეკლესია ბოლომდე განადგურდა, ბევრიც დაზიანდა.

აღდგენა ნაბიჯ-ნაბიჯ

როგორ რეაგირებს ხალხი ამგვარ უბედურებაზე მოზამბიკში? „მათ ბევრი არასოდეს ჰქონიათ და მიჩვეულები არიან სიღარიბეს, ამბობს ეპისკოპოსი ვიტენი. „ისინი იმას აკეთებენ, რაც უნდა გააკეთონ, რომ წინსვლა შეძლონ. იკაპიწებენ ხელებს და ახლიდან აშენებენ.“ სამხრეთ აფრიკის ახსეს უნდა, რომ ხელი შეუწყოს მათ, უფრო სწორად, მათ ჰუმანიტარულ ორგანიზაციას „Masakhe Foundation“. მას შემდეგ, რაც მოზამბიკში წყალდიდობის შედეგად მომხდარი კატასტროფის შესახებ ინფორმაცია გავრცელდა, ეკლესიის წევრებმა დახმარების სურვილი გამოთქვეს. ფონდმა შემოწირულობების აქცია დაიწყო. შეგროვილი ფული სკოლების აღდგენას უნდა მოხმარდეს. „ამ არეულობის ცენტრში სკოლის ფორმებში გამოწყობილი ბავშვები იდგნენ და გაკვეთილებზე დასწრება სურდათ: მაგრამ სკოლა აღარ არსებობდა“, გვიამბობს ეპისკოპოსი ვიტენი იმ სიტუაციებზე, რომლებმაც განსაკუთრებულად შეძრა იგი.

გადაუდებელი დახმარება სრული სვლით მიდის წინ

სასკოლო პროექტთან დაკავშირებით „ახსეს საქველმოქმედო ფონდთან“ თანამშრომლობის შესახებ დებატები მიმდინარეობს. იმ დროს, როდესაც გერმანული ჰუმანიტარული ორგანიზაცია მოზამბიკში აღდგენით სამუშაობზე ფიქრობს, მალავისა და ზიმბაბვეში გადაუდებელი დახმარება სრული სვლით მიდის წინ. ამის შესახებ იტყობინება პროექტის კოორდინატორი იოანა ფონ იარმერსტედი.

15 000-მა კაცმა დახმარების სახით მიიღო პაკეტები საკვებით, საბნები, ბრეზენტები და ქლორის აბები წყლის გასაწმენდად. ამ კუთხით ყველაზე მძიმე მდგომარეობა სამხრეთ მალავიშია. იქ თვითმფრინავით სამედიცინო დახმარების კომპლექტები წაიღეს, რომლებსაც სამი თვის განმავლობაში 1000 ადამიანის უზრუნველყოფა შეუძლიათ ტკივილგამაყუჩებელი საშუალებებით, ანტიბიოტიკებით, შესახვევი მასალითა და საკვები დანამატებით.

ამასთანავე, ახსეს საქველმოქმედო ფონდი ახალსამოციქულო ეკლესიის სადამხმარებლო ორგანიზაციასთან ერთად ადგილზე მუშაობს, მასში მონაწილეობას იღებს ასევე ორგანიზაცია „დახმარება თვითდახმარებისათვის“. ეს ჰუმანიტარული ორგანიზაცია ფინანსურ დახმარებას არა მხოლოდ მიმდინარე შემოწირულობის აქციიდან იღებს, არამედ სამხრეთ გერმანიის ახალსამოციქულო ორგანიზაციამ „human aktiv“ 50 000 ევრო გაიღო. ამ დახმარების აქციას 30 000 ფრანკით შეუერთდა „NAK-Humanitas“, ეს თანხა პიდაპირ წითელ ჯვარს გადაეცა.

მოციქული ალბინო ძიმბა მაფარინის (მოზამბიკი) დანგრეულ ეკლესიაში: მხოლოდ საკურთხეველი დგას ურყევად.

ფოტო: ახსეს საქველმოქმედო ფონდი, ალვინ ვიტენი

პროგრამა

06. 07. 2019 წ.	ინკისი (კონგოს დრ)
07. 07. 2019 წ.	კინშასა (კონგოს დრ)
20. 07. 2019 წ.	ნდოლა (ზამბია)
21. 07. 2019 წ.	ლუსაკა (ზამბია)
28. 07. 2019 წ.	ნორდერშტედტი (გერმანია)
02. 08. 2019 წ.	ლა-პასი (ბოლივია)
04. 08. 2019 წ.	სან-პაულუ (ბრაზილია)
11. 08. 2019 წ.	ციურიხი (შვეიცარია)
15. 09. 2019 წ.	აპია (სამოა)
15. 09. 2019 წ.	პაგო-პაგო (ამერიკის სამოა)
22. 09. 2019 წ.	კრაისტჩერჩი (ახალი ზელანდია)

New Apostolic Church
International